EURONEST PARLIAMENTARY ASSEMBLY
ASSEMBLÉE PARLEMENTAIRE EURONEST
PARLAMENTARISCHE VERSAMMLUNG EURONEST
ПАРЛАМЕНТСКАЯ АССАМБЛЕЯ ЕВРОНЕСТ

Bureau

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის
ბიუროს განცხადება

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის (Euronest PA) ბიურო ხაზს უსვამს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების და სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემის მნიშვნელობას; კიდევ ერთხელ ვადასტურებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ფუნდამენტური ღირებულებისადმი ერთგულებას, კერძოდ დემოკრატიისა და უსაფრთხოების ზომების დამოუკიდებლად არჩევის უფლებისადმი, რაც მოიცავს ალიანსების შეთანხმებებს. ამ ღირებულებების დაცვა და გაძლიერება აუცილებელია ჩვენი მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით, რომელთაც წარმოვადგენთ.

უმკაცრესად ვგმობთ რუსეთის მიერ უკრაინაში დონეცკისა და ლუჰანსკის ოლქების ოკუპირებული ნაწილების დამოუკიდებლობის უკანონო აღიარებას, რაც საერთაშორისო სამართლის, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და მინსკის შეთანხმების უხეში დარღვევაა.

მხარს ვუჭერთ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ევროკავშირის, აშშ-ის და საერთაშორისო პარტნიორების მიერ წინასწარ გაცხადებული მკაცრი ეკონომიკური და ფინანსური სანქციების სწრაფ დაწესებას. მოვუწოდებთ ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების მთავრობებს, იმოქმედონ ერთიანად, მტკიცედ და მიზანმიმართულად უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად.

ხაზს ვუსვამთ, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ უპრეცედენტო სამხედრო აგრესიის ამჟამინდელი მუქარა საფრთხეს უქმნის არამხოლოდ უკრაინის უსაფრთხოებას, არამედ მის დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას, წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგსა და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პრინციპებსა და მექანიზმებს. ვაცხადებთ, რომ რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიების ნაწილის ანექსია და უკანონო ოკუპაცია,

ისევე როგორც მოლდოვას რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონში მოუგვარებელი კონფლიქტი, რეგიონსა და მთლიანად ევროპას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.
აქედან გამომდინარე, მზადყოფნას გამოვთქვამთ, გავაძლიეროთ ერთობლივი თანმშრომლობა, რათა წვლილი შევიტანოთ ევროპელი ლიდერების დიპლომატიურ ძალისხმევაში, რომელიც, დიალოგისა და თანამშრომლობის გზით დაძაბულობის განმუხტვისა და რეგიონული სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენაა მიმართული.

სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ ხალხს, რომლებმაც საკუთარ ქვეყანაში 8 წლიანი ომი იწვნიეს; მხარს ვუჭერთ უკრაინის ძალისხმევას გადაჭრას სამხედრო კონფლიქტი დიპლომატიის გზით, მაშინ როცა რუსეთი აგრძელებს მინსკის შეთანხმების დარღვევას და ძირს უთხრის ნორმანდიის ფორმატს. ვაგრძელებთ ყირიმის საერთაშორისო პლატფორმის მხარდაჭერას, რომელიც ყირიმის ოკუპაციის დასრულების მიზნით მოქმედ საკონსულტაციო და საკოორდინაციო ფორმატს წარმოადგენს.

მივესალმებით 16 თებერვალს ევროპარლამენტის ლიდერების მიერ უკრაინის შესახებ მიღებულ განცხადებას, რომელიც მოუწოდებს უკრაინას, ერთიანად და ურყევად გააგრძელოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების, ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით ყოვლისმომცველი რეფორმების გატარება, რომლებიც საფუძვლად დაედება უკრაინის ევროკავშირთან უფრო მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ასოცირების ამბიციების მიღწევას. მოვუწოდებთ ევროკავშირის ინსტიტუტებს, შეინარჩუნონ უკრაინისა და ევროპული მისწრაფებების მქონე სხვა პარტნიორებისთვის ევროკავშირში გაწევრიანების ისეთივე სანდო გრძელვადიანი პერსპექტივა, როგორიც აქვს ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს „ევროკავშირის ხელშეკრულების“ 49-ე მუხლის შესაბამისად, ასევე იმუშავონ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე უკრაინის ეტაპობრივ ინტეგრაციაზე, როგორც ეს ასოცირების შეთანხმებითაა გათვალისწინებული. ამ კონტექსტში, ხაზს ვუსვამთ, რომ დემოკრატიული რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს კანონის უზენაესობის განმტკიცებას, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ინსტიტუტების დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას, რჩება ყველაზე ეფექტურ გზად რუსეთის ფედერაციის მიერ შემდგომი სამხედრო აგრესიისა და დესტაბილიზაციის მცდელობების წინააღმდეგ მათი მედეგობის გასაძლიერებლად.

მოვუწოდებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს, განსაკუთრებით მათ, რომელთაც გაფორმებული აქვთ ამბიციური ასოცირების შეთანხმებები, ერთიანად და ურყევად გააგრძელონ, აღებული ვალდებულებების შესაბამისად, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში ყოვლისმომცველი რეფორმების გატარება.

მოვუწოდებთ ჩვენს მთავრობებს, ისევე როგორც ევროკავშირს, მჭიდროდ ითანამშრომლონ ენერგო დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად, მათ შორის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ურთიერთდაკავშირებადობის გაზრდის, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების გზით.

მხარს ვუჭერთ უკრაინის ძალისხმევას დემოკრატიული რეფორმების, ეკონომიკური კეთილდღეობისა და სოციალური პროგრესის მიღწევისკენ და გვჯერა, რომ ეს ძალისხმევა იმსახურებს მაქსიმალურ მხარდაჭერას ევროკავშირის, ისევე როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხრიდან. შესაბამისად მოვუწოდებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაზრდისკენ, როგორც რეგიონის ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობებში, ისე აღნიშნული პარტნიორობის მრავალმხრივი ინსტიტუტების ფორმატებში. აღვნიშნავთ, რომ რუსულმა აგრესიამ უკვე მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა უკრაინას და მოვუწოდებთ ევროკავშირს, უკრაინის ეკონომიკური ზარალის შესამცირებლად, დაუყონებლივ გამოყოს მაკრო-ფინანსური დახმარების საჭირო ოდენობა; ვაგრძელებთ მჭიდრო კონტაქტს ჩვენს პარტნიორებთან, რათა ვიპოვით ახალი გზები უკრაინის ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობისთვის დამატებითი დახმარების უზრუნველსაყოფად.

ვუერთდებით ევროპარლამენტის ლიდერების განცხადებას უკრაინის შესახებ, რომელიც მტკიცედ უარყოფს ნებისმიერ მცდელობას, შეასუსტოს და ძირი გამოუთხაროს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პრინციპებსა და მექანიზმებს და ამ კუთხით მივესალმებით ევროპული და ტრანსატლანტიკური მხარეების ერთიანობას.

ერევანი, 22 თებერვალი, 2022 წელი